

ლიტერატურული გაზეთი

№111 13 - 26 დეკემბერი 2013

გამოდის ორ პვირაში ერთხელ, აარასპერისტი

ფასი 50 თეთრი

ლაშა თაბუკაშვილი

ერთიც გაგვიცინე, გუნდლე!

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

1997 წელი, სექტემბერი. თბილისი

ოცდაოთხი წლის ბექა იშხნელი სროლის ხმამ გაალვიძა. მანამდე ლიძავის ზღვა ესიზმრებოდა. ზღვა ტბასავით იდგა და ნაპირთან წყალი ისეთი კრიალა იყო, რომ ყოველი კენჭი მკაფიოდ მოჩანდა... მერე გასროლამ გაფანტა ზღვის სურნელი... ზათქანმა სახელოსნოს ფარლალა კედლები და ფანჯრის მინები შეაზანზარა.

ნამთვრალებზე ყველაფერი ზანტი სიცხადით აღიქმებოდა — მის ბეჭს მისრესილი ქალის მკვრივი, ცხელი მკერდი, სახელოსნოდან შემოღწეული სალებავების სუნი და სიგარეტის ბული... საკუთარი, ნაუდაბნოარი, სითხედაცლილი სხეულის შეგრძება და ახლად გაღვიძებული ქალის საამო, მძაფრი ანაორთქლი... ჩამ-ქრალი სანთლის სუნიც იდგა გარშემო... შეუქი მთელ ღამეს არ მოსულა.

ბახ, ბახ, პიაუუუ!

— რას შვება შენი ძმაკაცი, ლიკას კლავს? — გოგო ლოგინზე წამომჯდარიყო და მფრთხელი გაკვირვებით აყურადებდა სროლას.

ბექამ ძლივს წამონია თავი ბალიშიდან:

— რომელი?

— რ-ს რომ ვერ ამბობს.

— ლენინივით? — ბექამ თვალები მოიფშვნიტა, — გია?

— ჰო, შიშისგან ვერც გავისხენ.

— დილა მშვიდობისა! — შეშფოთებულ გოგოს გაულიმა ბექამ.

ბახ, ბახ, ბახ, პიაუუუ...

— ჰო, ეგ ზუსტად მისურვე! რას აკეთებს გია?

— რ-ს ვერ ამბობს, — წაილულულა ბექამ და გვერდი შეიცვალა, მაგრამ სროლის ხმამ ხელი შეუშალა ძილის შებრუნებაში.

ბახ, ბახ.

— რას აკეთებს-მეთქი.

— ისვრის! — აუხსნა ბექამ და თვალი მილულა, მაგრამ გოგო მხრებში

წვდა და შეაჯანვალარა.

— არ მაკოცო, საფერფლე მაქვს პირში!

— არც ვაპირებ! — გაიოცა გოგონამ.

— ეგაა, რომ მკლავს! — ბექა ისევ წაილო ძილმა, მაგრამ გოგო არ მოეშვა

და ქრიმრში მოქაჩა.

ბა, ბახ, პიაუუ!

— ვიკივლებ, იცოდე!

— აჲ, ეგ არ ქნა!

ბექა ლოგინზე წამოჯდა, თვალდახუჭულმა მოაფათურა ხელი, სიგარეტს მოუკიდა და სველება აუტყდა.

— ყოველოვის ასე მომზიბლავი ხარ დილაობით?

— რაც შეიძლება იშვიათად! — ბექამ ტუმბოზე დადებული ჯვარი მოიძია. ლამეულ ცხელ ალერსში გაწყვეტილი ძენკვი მოუხეშავად განასკვა და კისერზე რომ დაიკიდა ჯვარი, დაეჭვებით შეათვალიერა ნასკვი,

— როგორ გგონია, გაძლებს ასე?

— დროებით! იქით გააბოლე, თუ ღმერთი გწამს.

ბახ! ბახ! პიაუუ!

— რატომ ისვრის?! ძილის რიტუალია ასეთი თუ პახმელიის?

— რა კარგი გოგო ხარ, ბევრ შეკითხვებს რომ არ სვამდე!

— იქნებ ცუდიც ვარ, გუშინ არ გამიცანი?! პასუხი გამეცი, ძილის რიტუალია-მეთქი!?

ბექა ახლა ნასკვის გახსნას ცდილობდა.

— ჰო, სროლით ვეგებებით მზის ამოსვლას! აღგზნება გვერწება ასეთი! არის, გავხსენი!

— ჩაიბუტუტა ძენკვის თვალიერებით გართულმა ბიჭმა.

— ეგ ლამის პრიორიტეტია! აღგზნებას რაც შეეხება! — ჩაიცინა გოგომ და სახეზე ჩამოშლილი თმა გაისწორა, — რატომ გაქვს შრამი მარჯვენა ლოყაზე?

— მარცხენაზე რომ არ მქონდეს! — ბექამ სიგარეტი ჩასრისა საფერფლეში და კვლავ ძენკვს დაუწყო წვალება, — ერთხელ ლიძავაში ტალღამ მომპარა ჯვარი, დიდი ტალღა იყო, უმთვარო ლამე...

— რას ბუტბუტებ, არაფერი მესმის! ღამე, ტალღა...

ბახ, ბახ, ბახ, ბახ, პიაუუ...

— ნახე, ხომ არ გააფართხალა ლიკა, იმ შენმა დარტყმულმა?!

— ქალებს არ ერჩის!

— ალარ ისროლო, გადავდექი ჭკუიდან! — ლიკას კივილი მოისმა მეზობელი თოახიდან.

— დამეხმარე, რა! — გოგო გვერდულად დაჯდა ლოგინზე და ბექამ ლიფი შეუკრა ზურგზე. მერე თბილ ბეჭზე აკოცა. გოგონამ კაბაც გადაიცვა და სარკის წინ რომ დადგა, სხვათაშორის კითხა, — მე რა მქვია, თუ გახსოვს?

— არ გინდა ეგ სლაბი ტექსტები, თე!

სახელოსნოდან ჩამიჩუმი ალარ ისმოდა. თეამ ყური ცქვიტა:

— მორჩა სროლას? — მაგრამ გიამ იმედი გაუქარნება.

ბახ, ბახ, ბახ, პიაუ...

— ჯერი გამოცვალა, ალბათ! — აუხსნა ყურებზე ხელაფარებულ თეას ბექამ, მერე ჯინსები ჩაიცვა და კვლავ მოისინჯა კისერზე ჯვარი, — არა, ხელოსანს უნდა მივუტანო!

— მომეცი აქ! — თეამ სწრაფად და კოხტად გაამთელა ძენკვი, — ახლა ვი წადი და გათოკე შენი გადარეული ძმაკაცი! გთხოვ!

— ტყვიებიც რომ არ გაუთავდა?! — გაიკვირვა ბიჭმა და ფრთხილად შეალო სახელოსნოს კარი...

VIII-IX

დოდო ჭუმბურიძე



მიუწვდომელი კრთის იცლისის ცაში ცთომილი და დასავლეთის ქარის ფრთხები ტყე გაზეული, ჩუმი ოცნებით, მთელ სამყაროს გადაწვდომილით, მზეს ელოდება უმსურვალესს, კედრის სხეული. ბაღში ვაშლება ჭრიალებები, კალია დახტის, მთელი ზაფხული ჭრიჭინები გაბმით კვენესიან, უზენაესი სულ უბრალოს საოცარს გახდის, — სულში აგვიგებს ყველა ჩვენგანს მშვიდ ეკლესიას.

გახსენება

დღე იყო დაბინდული, უსაგნო, ამორფული, ლანდებს გადავაწყდით, ძვირფასებს, თრიალეთთან, ცისფერი ბაფთა, ხატვრის ხეს გამობმული, ძლივს გასასხენებელ სიზმარივით ფრიალებდა. გზები გაილია, თოვლი და ქარი იყო, მდოგვის მარცვალიც, ნათესი ქარშომტებს, მითხრა, რომ ვუყვარდი!... მიგხვდი, — მთვრალი იყო, არ გაიხსენებდა ნათქვამს არასოდეს...

მარწყვიანი მდელო სურნელებას მაფენს, საწვიმარი ნისლი გადაცურდა შორეთს, ვერ ვენევი ფიქრებს, კრაზანებზე სწრაფებს, ვერ ვანელებ დარდის უსასრულო მორეებს. ფეხაკურეფით მოსულ შედამების მცველი — ვარსკვალი ჩანს ერთი ტყე-ლრების მიწყივ, რა წრილმანი არის სატკივარი ჩემი, ნატყვიარი ძველი რა გულდაგულ მნინენის...

შევეჩივ დარდებს, ჩუმად მოსულთ, უზღვავთ, შევეჩივ ამ სახლს, ოცნებებს რომ ართავს, დარიბების უბანს, სადაც ცხვრობს მუზ, სადაც სიყვარული ქალის ყოფა მართავს. ჭეშმარიტი აზრის მართლა თუ გსურს პოვნა, — გაიხედე, დაო, იესო დგას კართა...

ნაღველი ჩემი სანთელივით ქარში არ ქრება, სიყვარული მაქეს, გაუმხელი, გულის სარქველებად. ცეცხლი და ლავა — არსებობის ერთი მხარეა, გულში რომ მიდულს და მარწალებს დიდი ხანა. ანგარებაა როცა ირგვლივ გამეფებული, — მეც ქარში ვანთებ მაშინ სანთლებს და მიხარია...

სამშობლო ჩერენი — ღვთაებრივი ნაპერწეალია, ხან გვიგვის, ხან გვათბობს, იმედებით ველარ გვაპურებას, გაყიურებთ მყობადს, ანწყო მიწყივ ნამეწყრალია, ვის შეგვარა ფათერაკით სავე ამ ყურეს... ფიქრის, ნაღვლის თუ ცრემლის ტები გვექცენ — ღვთაებად, დამისის არგვურს ვომობდეთ, დრო ორიოდ კაცს ეჭიდება თუ ეფარება, რომელთაც სცადეს — ბედის ნინო გახტომოდენ...

ია ყვავის ჩუმად მოჩერიალე რუსთან, დამავინცდა მტერი, გული მიცემს სუსტად... ზუსტად ვიცი, რა ბელავს, ან ვის უნდა ჩექმა დამაბიჯოს გულზე, მოკლულს, ვიცი ზუსტად.

ოხშივარი ასდის ციხეს სისხლით ნაშენს, ისევ აქ ვარ და გნერ ქაჯეთიდან უსტარს, იცის სამხა გმირმაც, როგორ უნდა დაშვრეს და უშველოს ციხეს, — ნამომართულს კუშტად. სიმშვიდე ფლობთ როცა სამშვილდეს თუ ხერთისა, რომ აჯობეს ურიცხვ მომხვდურსა და მომკვლელს, ისტორია მიდის, ვერ დაუსუამ წერტილს, ვერ გადმოსცემ ამბად, ვერ მოყვები მოკლედ...

სასაფლაოზე, გებერი ჭადარი

დამდგარს საფლავის ქვასთან, ბებერო — რისი იმედი შეგრჩა ჭადარო, ორასი ზამთრის დამზამთრებელო, აუგებელი ციხის სადარო. განეყალდნენ უკვე უამის ნამლები, ჩერენ რომ ვყრიოთ ყოფა არ ჭამს იმ საკენეს, შენც მინის ნიალ ჩაინავლები, ან გაუყვები კვამლად ცისაკენ.

ცერილი სოფლიდან, მეგობარ მერალს — ცელი გატიაშვილს

ნარმოიდგინე, გნერ ისევ მწერებზე, მწევანე ბაყაყებზე, პეპლებზე ფუტკრებზე, მოცურა სამყურებზე, დამშვიდებზე, მთიანგზე — უთქმელზე; გნერ ჩემს ჰოლანდიურ კატა სასკიაზე და იმს კატუტე — პატარა ჯაკომიზე, გნერ ცაცხვის ხების უცანურ მაკიაზზე, ვერცხლისფრად ჩამომდნარ მაღლაკის საღამოზე. გნერ ხატკეპელაზე, — ზედ რომ ახატია მთელი საქართველო... გულს ასჯერ ანაჩუყებს, როგორ დაემატა ერთი სატკივარიც: — ჩენი საყვარელი ბიბი გააჩუქეს. გნერ — წელს უცნაურად დატებილულ მაყვალზე, ნიყვასა და ქამაზე, ბუხარზე ნაღდზე, ქვიჯაში ქინძის და ცერეცოს ნაყვაზე, ღადარში სიმინდზე და ნესვის ბაღზე. თუ გინდა, ჩამოდი, გაგაცნობ ოფოფებს, ქედებს და ჭირჭინებს და ღამის ჭოტებს, მეზობელის მესელ ბიჭებს, თუთების სველ ფოთლებს, ბოსტანს და ტყისპირებს, ბულბულის ნოტებს. თუ გინდა, შეზ რომ იცევა დაუძრახე, ხოჭოებს, კალიებს და ღამის მწერებს, თუ გინდა, ამ უსტარს სკივრში ჩაუძახე და შენი „სახალინის რომანი“ წერე...

ქველი გვირები

ვეღარ მოასწეს გაკეთება, რასაც ფიქრობდნენ, ნაღვლიანები სულ თავსა და მამულს იგლოვდნენ, როგორც მიკრობებს, მტრებს ეპრძოდნენ ხილულს, უხილავს, გვინდა თუ არა, შინ და გარეთ რომ დაგვიგროვდნენ. ქევეფარები მათ ჩრდილს, როცა უამი ერთგვარობს, როდესაც სულ ბულბულია, მაგრამ ვერ გალობს, მივყვები ნაკადს, სანამ ტალღა ზღვისა გადამძლევს და შემაერთებს დასალიერს უკიდეგანოს...

სულ ერთ ნამში შეიცვალა ტაროსი, სულ ერთ ნამში მოიწყინა ბზამ,

სოფლის ბოლო გზაჯვარედინს გამოვცდი, მზე ჩადის და კვლავ გრძელდება გზა. ჯერ არა ჩანს დასასრულის ნიშანი, არც ზარები არ რეკაცენ ჯერ, იქით მივალ, ის მწვერვალი ვიცანი, სად მამა დგას და ნათელი ძე...

შემომაძარცვა შემოდგომამ ქარაშოტებით ის კაბები, გაზაფხულმა რომ შემიკერა, ზამთარი უფრო უგულოა, არ ვეცოდები, ყინულის უფსკრულს ჩამაყოლა, დროში მიყელა. ახლა აქა ვარ, შელამების ბინდში მკვნესარეთ — კვლავ ვუსმენ ჩიტებს, ვუმზერ ცაზე ცურვას ღრუბელის, თითქოს თესლი ვარ, გლეხები რომ ღოცით თესავენ და გავლენავდები, როგორც მარტში ის ტუბერი.

ნუთუ ჩვენ იდესლაც ვიცნობდით ერთმანეთს, და უფრო მეტიც, კიდეც გმეგობრობდით!... ძველი ბილიკები ახალ გზებს კვეთავენ, დარდისათვის მარტი შენ, უთუოდ მეყოფოდი. უბრალოდ, ამგვარი რამ ხდება უამრავვერ, ცრემლივთ წარსულის კედელს დაეცვარე... ამ ქალაქს მინოტავრი აღარ უდარაჯებს, ამ ქალაქს პოეტები უკვე გაეცალნენ...

ხშირი ტყე უცებ აღვიქვი სავანედ, ბალახით შევიგრძენ მინაც და უამიც, აგვისტოს სამოთხე ნასულა რა მალე, მდინარე დამდოვრდა, შემოკლდა ნამი. ჭრიტინას ხსნიაც იმატა ნაღველმა, წინიმები გახშირდნენ, წყნარი დრო დადგა, სითბო მოემატა ბუხარში ნაღვერდალს, სიმძაფრე — უბრალო სიტყვებით ნათქვამს...

გადაიარა უამიმა და თითქოს ტკივილიც ჩამიცხრა... — ნუ ფიქრობ, ღვართქაფა არსადაც არ ჩაუვლია იოლად... სევდიან ჩიტის ხმასა ჰყავს იონჯის ველზე ქარის ხმა, — ბალის ვაშლოთან და ალვებთან მთელი ღამე რომ იომა. შავად ბზინავენ ჩრდილები, იმახსოვრებენ : რა მითხრა მეზობელმა თუ ჯოჯოხეთს გადარჩენილმა იონამ, ვითომდა შვება ვიგრძენი, ვითომ ტკივილი ჩამიცხრა, რომ მითხრეს: ღვართქაფა არსადო არ ჩაუვლია იოლად...

ლამის სულიც მთვარის შუქით აღივსო, უკრავს ჩელო, ჩრდილი ცოცავს ჭერმის, თქვენი იკითხეთ: — სამაყე რა ლირსო, გიპასუხეთ: — სიცოცხლე ლირს ჩვენი!... ტრიბუნათან იძახებენ ბოროტს, ტკივა მავანს დაწყვეტილი ნერვი, ღამე ესე — დასრულდება ბოლოს, განთიადით მიადგება მერმისს...

გადამჯრენი ჩიტები და ბუნება

თითებზე ავიცვამ შვეენირ ბეჭდებად ვერცხლებს, როდესაც დაცხრება იქტომბრის ჭალების ცეცხლი, უკერად მოვინატრებ შორეთში გაფრენილ მერცხლებს, მათ ჭიჭიკის ცივი ზამთრის ჩიტების ტიკტიკი ვერ ცვლის. ყური დახმობია ბუნებას, მშვენიერს, თითქოს, აღარც ტოროლები, აღარც ბულბულების დაუძრავს ზედ და უამრავდება ნაღვლიანი ფიქრობს, თავადაც გაფრინდება, თუკი ნებას მივცემთ, დღესვე...

კედლები დაბზარულია ამ ძველისძველი ტაძრის, ცრემლები აკრძალულია, არც თოვს, არც მზეა, არც წვიმს. რაღა დარღოდ დაპერის ჟავენა, უაზროდ დაპერის ქვენა, გულებში საყინულება, გაყიდულია ყველა...

ქარი კოლხეთისა — არტისტია, თეატრის გუგუნებს სცენა, ღვინობისათვე ჩემი ნატვრის თვეა და არა ფოთლების ცვენა...

ოცი ოქტომბერი, არცთუ გასაგები,
შევყურებ ცრუ ბედის მწერალს,
ორი სამეფოა ახლა ასაღები —
ყოფის და არყოფნის რწმენა...

ფრთხებს კი არ დაკეცავს ნატერა,
ან კი არ შეიქრის ამ ფრთხებს,
სივრცეებს დაიპყრობს მართლა
და სახეგად-შლილ ზამთრებს —
სიკედილს რომ მაგონებს ბრიყვი,
თბილი მედებით მორწყავს,
კაშაში ვარსკვლავიდნ სიყრმის
ჩემი ბედისნერა მმოძღვრავს.

ნელ-ნელა ჩაქრება ისც, —
სულ უბრალო ფეთქვის ძალა...
რა ყრია სიცოცხლეში — ვიცი,
სიკედილში რა ეყრება — არა!...

თავს რომ ამოყოფს, მინას
რომ მოშორდება თრთოლვით,
ვინც რა უნდა თქვას, იმ წამს
მინდა გვირილას როლი...
ფაიფური და ბროლი,
ძველი ჭურჭელი გაცვდა,
მარტო გვირილას როლი
ტრიალ მინდორზე დამრჩა.

შემოდგომა მიიქცა, ყვითლად დადნა ოქრო,
თოვლი მოდის, ზამთარმა ძილში იქბა მოუხმო,
როგორ ვერ დაინახე, ვერ იგრძენი როგორ —
გვერდით რომ ჩაგვიარა — ტებილი იქსო იყო!...

მწერალი ბედისა დალლილი ყოფილა,
ჩემს ბედს რომ წერდა,
ჩემს თავზე პატარა პეპელა მოფრინავს
და ცვერი წვეთავს.
გაჩნდენ და ჩიტებმაც ჩემსავით გარისკეს,
დამჭკარა ბალბაც,
აგერ რომ ფუტკარი გაფრინდა ჭალისკენ —
მე ვიყავ ალბათ...

ნექტარია არსებობა ფუტკარის,
ტატნობზე დგას შედამება მირქმის,
მეც მკვდარი ვარ, ბაგე არის უტყვი,
სხეულია გაყინული ფიქლის.
ჩემი ნასულა შენს დარჩენას უდრის,

ვინ მაჩუქებს სხვა სიცოცხლეს ნეტარს,
ვინ იპოვის სამოსახლოს მუდმივს
ამქვეყნიურ სამოთხეში ნეტავ!..

ისე შევერციე ლამის
ბინდება და გზას კუნაპეტს,
როგორც სიკედილს, მოსულს ლამის,
ქურდა, ჩემს კარს რომ აყურადებს.
ისე შევერციე სიკედილს,
მის გზებს ვხატავ, ვასურათებ,
სისხლის ფასად ვტოვებ ყოფას
და მიღმიერს გზას ვუნათებ.

ამ კოლოს ერთი ლუემა ვარ,
კოლეური ლამის მსხვერპლი ვარ,
ნოქტიურნს ბრმები უკავენ,
მატლი მიყურებს პეპლიდან.
ჩაქრება შუქი ჩირალდნის
და თვლებმს დარბაზზე ქარვასლის,
ნუთისოფელი ჩირად ლირს, —
რაც გვინდა, იმას არ გვაცლის.

ერთგულების ხმას არაფერი არ შეეშლება,
გულწრფელი ცრემლი მარტო მისი ალით შეშრება.
ერთგულება ჩემი სულის თეთრი მანდილიც,
ლალატზე ძველი, სიყვარულზე უფრო ნამდვილი...

უამი არ მიდის კაცთა ურბევლად,
ვარდის რტოს აქცევს წალმად,
სისხლს გერიოს ნაღველი, როგორც წურბელა,
ნარუვალი რომ წარვალს.
დავეკარგე ძალა აჯა-ტირილის,
ვარსკვლავებს ვითვლი ცადა,
დედოფლის გვირგვინს ველის გვირილის
გვირგვინი მიჯობს სადა.
თვალი ოცნებას მიელულება
და გავუჟვები გზადა,
საყველოთა მხიარულებას
შეყურთდები სადაც.

ნარგისთა ნაგუბარ წყაროს
მადლს სასაულებრივ ულევს,
ცოდვილს რომ უფალი წყალობს,
ლოკვაში ცხელ ცრემლებს ურევს.
ეს ისე აცისკროვნებს სულებს,
უფალი მნირს წმინდანს ადრის,
თუ უნდა, ნაქცეულ ურემს
ის წამოაყენებს მადლით.

მეუბნება მებალე: რომ იცვალენ დროები,
ყვავილებიც შეთანხმდნენ, რომ დრო ქარმა არია,
შემოდგომის ფოთლები მიჰყვებიან ნოემბერს,
შემოდგომის პეპლები ყვავილებს მიჰპარვიან.
ცურავს ნისლი ცრემლიან ოცნებების უამისა,
მაღავ, თუმცა ვერც მაღავ დარდის ამოფეთქებას,
მწუხარ მიაჩუმათებს ყურძნის წურვას, ჩალის ხმას,
გადამაღულ იმ დარდსაც, ამ ლექსით რომ გეთქმება.
მწვანეც იყო და ლურჯიც, ახლა ქედ შავია,
მარტივია ფერები, შლის სიშავის მატებით,
ეს საღამო და ლექსი — შენი კაეშანია,
შემოდგომის პეპლებით, კვამლში მოფარფატენით...

სადაც ჩვენ არა ვართ, კარგია მხოლოდ იქ,—
ვკითხულობ სტრიქონებს ცხოვრებს ბოლოთქმის.
მცოდნე ყველაფრისა ბედის მწერალია,
ყოველი ჩვენგანი — უფლის მცენარეა.
შრიალებს ბალი და ხები ბერდებიან,
მინანი ჩადიან და ცასთან ერთდებიან.
დამით ნიავია და ქარი დღისით ჰქრის,
— რა არის ნეტავი ამ ლურჯი ცის იქით!...
ფიქრობს ზამთრის გაშლი, ღობის პირს მიერული
და ჩინურ ვარდს მიწვდის აივნის რიკული...

ფერიცვალობაა, უფლის წყალობაა,
მწიფობისთვის მზად აქეს დედამინას მკერდი,
სევდინი ჩიტის წყარი გალობაა
და სევდიან წიგნის რომელიდაც გვერდი.
გულს რომ ხედება ჩუმად, მარტო ბუხარია,
რომ მათბობს და ფიქრებს სიყვარულით ვარცხნის,
არ გამოიდარა, ჭექა-ჭხილია,
ბლებს ფოთოლი სცვივა, დაღვრემილა ცაცხვი.
დაისვენე, მორჩი, რალა გინდა მეტი,
წმინდა ლუკას ზარი რეკავს გატაცებით,
სტუმრებიც მოდიან აიეტის ეტლით
და ამბავი მოაქვთ კოლხას გადარჩენის.

თაზ სავანეში ყვავილოვანი ველის

ნაზ სავანეში ყვავილოვანი ველის
რა სიმშვიდე, თითქოს ათასი წელი
იყოს, რაც არის ეს ყოველივე: მშვიდად
ქალი იღებდეს ცივ წყალს ათასწლის ჭიდან,
აკაციების ძირს იხრებოდეს ტოტი,
მოლადურები სუროებიდან სტვენდნენ,
ბებერ ცაცხვზე ზის თითქოს ათასწლის ჭოტი,
და გულს, აგრძერივ მშვიდს, არაფერი მტკენდეს.
ნიავი ფრთონავს, ჩრდილთა იმატა სიგრძემ,
გულის ფორმა აქვს და მზე ცახცახებს ცხელი,
ქველი გრძნობაა, რალაც ისეთი ვიგრძენ
ნაზ სავანეში, ყვავილოვანი ველის...



„დღეს მზეში სჭივის რაღაც ახალი,
თუმცადა ძველიც“

Հայոց Ազգական Կանոնը

„მე ვარ მე და ჩემი ვითარება, თუ მას
ვერ ვიხსნი, ვერც თავს ვუშველი“
ხოსე ორტეგა ი გასეტი

„ჩემი კანონი — სიტყვის კონანი,
შევკონე როგორც საუკუნენი“.

ზამთრის ერთ ცივ სალამოს, ამ უკანასკნელის გასაქარებლად, სარეცენზიონდ გამზადებული წიგნების გადაფურცვლას შევუდექი, ზაფხულის აქეთ საწერ მაგიდაზე რომ დამეხსავებინა. ვაღიარებ, პირველი იმპულსი, რაც ამ პატარა წიგნის ანკარა და მქუჩარე პოეზის კითხვისას ვიგრძენი, იყო ის, რომ დაუყოვნებლივ გამომეხატა შთაბეჭდილებათა სერია ამ ნა-

რომანტიზმისთვის დამახსასიათებელი
ენის, თვითმიზნური, სენტიმენტალური და
ბუნდოვანი ლირიკის უარყოფას სამო-
ქალაქო ხასიათის პოეზიის შესაქმნელად,
პოეზიისა, რომელიც, იქ, სადაც ემოციას
გამოხატავს, ნამდვილ, ცოცხალ გმირს
ათქმევინებს სათქმელს, იმას, ვინც არა-
სოდეს გამოყეტილა საკუთარ თავში, ვისი
საქციელიც სამაგალითოა თანამონაწი-
ლეობის და იდენტიფიკაციის თვალ-
საზრისით კოლეგტიურ სენტიმენტალიზ-
თან შედარებით; და კადეუ, ვინც გამსჭვა-
ლულია ოეალიზმის, ოპიეგტურობის
მოთხოვნით, ოეალიზმისა, თვით სასაუბრო
ენის გამოყენების მხრივაც. საყურადღე-
ბოა ერთგვარ ბაროკიზმთა რეკუპერაცია
(ლათ. კვლავ მიღება, აღდგენა — მთარგ-
მნ.) — ცხადა, აქ არ ვგულისხმობ პოემის
სტილისატურ და ენობრივ ფორმებს —
რაც, პირიქით, ძალზე მკაფიო და *default*
(ინგლ. — ავტომატურად, ჩვეულებისამე-

გი — მთარგმნ.); პოემაში რომ არ ჩანდეს, გარკვეულნილად, ექსპერიმენტული ლი-რიზმი — დღესდღეობით ყველაზე დიდი ოქსიმორონი (ბერძნ. — ერთმანეთის სახ-ინაალმდეგო, გამომრიცხავი სიტყვების შეხამება — მთარგმნ.) იქნებოდა მათთვის, ვისაც არ ძალუძს ერთურთისგან განარ-ჩიოს ეშმაკი და წმინდა წყალი? მაგრამ მივყვეთ თანმიმდევრულად და ვეცადოთ, დავადგინოთ ტექსტის შინაგანი არსი და, უწინარესად, შემდეგი კითხვა დავსვათ: რის შესახებ მოგვითხრობს პოემა?

ატავისტური სიღრმე ჯაკომო პონტის
პოეტური ნარატივისა, რაკი ქართულად
„პონტი“ ფიქციას ნიშნავს, ბუნებრივია,
თითქმის ყველგან დაფარული უნდა იყოს:
ჯაკომო პონტი არის პოეტი, რომელიც ავ-
ტორის ხორცებს ხმული ალტერ ეკოა, და
ნარმოადგენს ატავისტურ სულს სამო-
ქალაქი პოეზიისა, რომელიც არამხოლოდ
საკუთარი საშმობლოს, არამედ ყველა სხვა
ქვეყნის რეჟიმის ცენზურას შებლით ეხ-
ეთქება სიმბოლურ ფართო განზომლება-
ში, თამაბად რომ შეიძლება მიკუსადგართ
იტალიის სამწუხარო რეალობასაც. სიძუ-
ლვილის არქეტიპი ფსევდოდემოკრატიის
და ანტიდემოკრატიის წინააღმდეგ — აი,
რა სულისკვეთებითაა აღსასესე მთელი პო-
ემა. ისტორია მთელი თავისი სიგრძე-სი-
განით შეეხო საქართველოს, ხან მის
დასალოცად, ხანაც დასაწყევლად, და
ახლა, აღბათ, დადგა უამი შეჯამებისა. პოემის ზედაპირზე პოლიტიკური რეალ-
ობა ჩანს და ამ ვითარებაში პოეტი ჯაკო-
მო პონტი ნარმოადგენს იდეოლოგიურ
ოპზიციისა.

ახლა კი მთავარი, რითიც უნდა დავინი-
ტერესდეთ, არის ანალიზი, თუ როგორ
ნარმოჩინდება ეს ზედაპირი ნაწარმოებ-
ში. ამ მხრივ ადვილი შესამჩნევა, პოემის
ფორმის თვალსაზრისით, „ჯაკომობ პონტი“
დროდადრო ორგორ ფლობს ერთგვარ
ეპიგრამულ კურსუსს, თუმცა კი, უმე-
ტესწილ, ვრცელ, დადი დააპაზონის თავებ-
საც გვთავაზობს, რაც ტიპიურია პაზოლი-
ნის სამოქალაქო ხასიათის პოემებისთვის,
როგორიცაა „ჩემი დროის რელიგია“ და
„გრაშის ფერფლი“. ავტორი ზოგან ვრ-
ცელ ლექსებს, ზოგან მოკლე flashes, ზოგან
— განცალკევებულ ორტაეპედს გვთავა-
ზობს; კიდევ სხვაგან კი ექსპერიმენტი
დახვენილი პროზაული შეგვენილობას
ერთგულად გადატოვს რაც ძალზე
გვაგონებს პაზოლინის პოემას „განღმრ-
ოთბა და ორგანიზება“, ოღონდ, აქ თუ
კასარსელი (დაბა კასარსა — პაზოლინის
დედულები ფრიული ვენეცია — ჯულიას
რეგიონში — მთარგმნ.), პოეტი რამდენიმე
შეტყობინებას ჩაურთავს ანსასადმი (ANSA
— ასოცირებული პრესის ეროვნული
სააგენტო — მთარგმნ.), მაღრაძეს თავის
პოემაში ელექტრონული ფოსტის მისა-
მართები მოაქცეს:

ჩემი თანამემამულის E-mail-ი
patriot-pateticum@yahoo.com

ჩემი მეორე თანამემამულის E-mail-ი
sexlibertà-progress@yahoo.com

არგუმენტი მკაფიოდ და საადა ვერსია
ფიკაციის ნარჩარი დინებით მიინვეს
მყითხველამდე, წრფელი, არამც და არამც
ნერვიული, უშუალობით; ამგვარივე ტენ-
დენცია იკვეთება პროლოგის იმ
სტრიქონებში, სადაც გადმოცემულია
წადილი ორი სამყაროს — აღმოსავლეთი-
სა და დასავლეთის — შემაქავშირებლისა,
მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩა-
კეტილნი და გარიყულნი რომ იყვნენ ერთ-
მანეთისგან:

ამ აღმოსავლურ-დასავლურ დივანს
დაუთმობს ადგილს წიგნების თარო,
როცა პოეტი აკინძავს მძივად
მწვანეში ქაზე დამსხვრულ ნცაროს...

၃၁

ვარ ერთი წყალის ორი სათავე,
— გნებავთ,
დამარტვით ბოსფორის სრუტე.

თემა, რომლის ირგვლივაც კონცენტრ-ირდება პოტენსის ცხოველი უნარი სიგ-ნიფიკატის (ლათ. ნიშანი, მნიშვნელობა, აქ ნიშანთა ეფექტი — მთარგმნ.) გადმოცე-მისა, ადვილი შესამჩნევია შემდეგ ციტატ-

ოღონდ შე მყავდე...
შენი ალალი სისხლი ვარ,
აუმღვრეველი სისხლი,
ვინაც დამგეშა, მისი ვარ,
ვინაც გამხედნა — მისი.

ცრემლი ვარ შენი კრწანისის,
ფიცვერცხლით საესეს თასი,
შენი ნალველი დამისხი,
შენი სიკვდილი მასვი!

შენი ორგულის მტერი ვარ!
შენი ერთგულის — მოყმი!
შენი თევდორე ბერი ვარ,
მის კვალზე უნდა მოგყვე!

ცხრა ძმა ვარ ხერხეულიე, —
მის სასიცოცხლოდ მხოცე!
რამდენ აკვანში გული ძერს,
იმდენ არაგველს მოგცემ!

მაგ ხარულ კისერს ნუ მოხრი,
უდელდაუდგმელ კისერს,
თუ დაგჭირდება მგლის მუხლი,
შენთვის მავიბამ ისევ!

უშენოდ სულიც ამომძრეს,
დავგვანებოდე მაცილს,
სიცოცხლეს, შენგან ნაბოძებს,
შენთვის სიკვდილში გავცვლი!

შეუძლებელი შექელი,
ამიტომ უნდა გლოცო,
ოღონდ შენ მყავდე დღეგრძელი,
ჩემო სულო და ხორცო!

მე შენს ზეცას ვემზევები!
მე შენს მინას ვემთვარები!
შენს ძახილზე ცერზე ვდგები!
გეფხიზლები! გემთვარალები!

მე შენს მინას ვეწვმები!
მე შენს ზეცას ვეთოვლები!
შენს სიყვარულს ვეწირები!
შენს სამოთხეს ვეთხოვები!

ცელულაზენი

ნულრულაშენის წინამძღვრის,
მამა მიქაელის ხსოვნას

ნუხელ მზის ჩასვლას ნუხდნენ შაშვები
და ბინდში იწვა ნულრულაშენი...

ნუხელ შაშვები მზის ჩასვლას ნუხდნენ
და ჭახახებდნენ ნუხილით ნუხელ...

შორს კი, მდუმარე ტყის ბოლოს სიო
თავზე უვლიდა ბოლნისის სიონს.

და ტაძრის კედლებს სევდით მმოსავი
ეხვია ხავსი საღმოსავით...

...
ნუხელ მზის ჩასვლას ნუხდნენ შაშვები
და ბინდში იწვა ნულრულაშენი...

ზამთარი

თვლემდა ჩალხია-ჩარუხელა
ჩანავლულ ყვერფთან,
გარეთ კი თოვდა და ბროლია სიზმარში ყეფდა...

დამის ბალიშზე თავმიდებულს ეძინა სოფელს
და ამა სოფლის ყველა ერთგულს და უარმყოფელს...

ეძინა სწორფერს
და სწორფერი მელავზე ეწვინა,
ეძინათ თითებს, ეძინათ თმებს, ძილსაც ეძინა...

ეძინა სივრცეს, —
დამის ბურუსს — მიწიდან ცამდე...
ეძინა ღიმილს, ეძინა ფიქრს, ეძინათ დარდებს...

...
თვლემდა ჩალხია-ჩარუხელა
ჩანავლულ ყვერფთან,
გარეთ კი თოვდა და ბროლია სიზმარში ყეფდა...

გურამ კლდიაშვილი

ნიმდებარების

შემოჭენდა თეთრი რაშით
დიდი წმინდა გიორგი,
ქართველების ბედის ასლი,
ბრძენი როგორც იოგი.

ახლა შენი მედი გვაქვს,
სულსპეტაკო გიორგი,
შენებრ გულით, შენზე დიდად
ქართველს იმედს ვინ მოგვრის?!

ხიზანმა თუ ძმადასხმულმა —
არ დაგვინდო არავინ,
ვისაც სურდა, სადაც სურდა,
ყველგან დასცა კარავი!

ბევრს ცოდვაში უდევს ხელი, —
მსახვრალი და ვერაგი,
მაგრამ სული, უტეხელი,
ვერ გატება ვერავინ!

გველეშაპთან მებრძოლი ხარ,
კვლავ იბრძოლებ ბოლომდე,
შენი ძალა გვეგრძნოს დიდხანს
და იმედად გვყოლოდე!

სიკვდილი სჯობს გალარებას,
ვიდრე გვეკვია ცოცხალი,
საქართველოს გადარჩენას
აღუვლინე ლოცვანი!



ერთგულება ქვეყნიერი
იარაღად ავისხათ,
დაიცავი ჩვენი ერი
ყოველივე ავისგან!

დაუნომრავო ქართველო!

ვიღაც იქნება პირველი,
ვიღაც იქნება მეორე,
ასე ორიგად აწყობენ,
როცა ითვლიან მეომრებს.

ჩვენში კი ყველა პირველობს,
ამიტომ ერი არ მთელობს,
შენი იმედით ვსულდგმულობთ,
დაუნომრავო ქართველო!

ლაგაზის ბაზი

მახსოვს, რუსთველზე, თოვლივით თეთრი,
ხშირად გვეცდებოდა ლამაზი ქალი,
მოირხეოდა როგორც ქალღმერთი
და უმალ მისკენ გარბოდა თვალი.

ეს მოგონება შემომრჩა მასზე,
თუმცა უფროა შექების ლირსი,
და გული მომდის საკუთარ თავზე,
რომ ვერ დავხატე პორტრეტი მისი.

დღეს მისმა ლიმმა დაჰკარგა პენი,
მისმა თვალებმა დაჰკარგეს სხივი,
როდესაც ვუმზერ, თვალები მეწვის
და გული მტკივა მე მისი ხილვით.

ასე ყოფილა ლამაზის ბედი, —
გვიბილავს და გვათრობს, ლამაზობს ვიდრე,
ღმერთი, რატომ აქვთ ასეთი ხვედრი
სილამაზისი გაჩენილ მკვიდრებს!

ასე ყოფილა ლამაზის ბოლო,
ეს სულერთია, ვისა ჰყავს ცოლად,
დღეს კი თავს იქცევს თამაქის ბოლით,
და სილამაზეც თვალდათვალ ბოლავს.

მისი კდემა და შევლება თვალის
ცხოვრებად ლირდა, სიცოცხლედ ლირდა,
დალოცვილ იყოს ლამაზი ქალი,
რომ გვალამაზებს გაჩენის დღიდან...

მარტის დღეები

მარტის დღეები ჩაიფერფლნენ,
ჩაქრნენ, ჩანავლდნენ,
მარტოდენ მარტზე მარტვილობდნენ მარტის
ჩაღლამდე...

მარტოდენ მარტის სულდგმულობდნენ,
მარტით მარტობდნენ,
მარტის დარდი და სიხარული ჰქონდათ მარტოდენ...

თან სდევდათ მარტის სისადავი,
და სიმარტივე,
მარტით მოვიდნენ, აღესრულენ ბოლოს მარტითვე...

ხევი ციხის ეზოში

...თქვენ აქ იზრდებით,
თქვენ აქ ბერდებით,
ტანზე გაცვიათ მტვერი, ხმაური,
ვინ მოგისაჯათ ციხის კედლები?
რა გქონდათ ღმერთან დანაშაული?!

დამშვიდდი, გულო, მათ ხომ ვნებიან
და ცოდვებიან ცოდვებით სცოდეს,
ასე ფარფატით ქარს მიჰყებიან
ოდეს სხედებიან ფოთლები ტოტებს...

დამშვიდდი, გულო, ამაოების
სხივში არყოფნის ბინდი ერევა
და მაქევთ საღალაც ქარებს ნოემბრის
ხების მწვანე ბერდნიერება...

ჭიკჭიკი მერცხლის
ვერაფერს ვერ ცვლის,
ვით ჩხრიალებდა, კვლავ ჩხრიალებს
ლალატის ვერცხლი...

კარზეც იუდა გველოდება,
გზაზეც — იუდა;
უფალს რა უჭირს,
ამაღლდა და გაზეციურდა...

გალათერ არაპული

არავინ მოდის, არავინ მიდის,
ამ დღესაც ბოლად ალამებს ხიდი...

თითქოს მდინარის გამოლმაც, გაღმაც
მარტონბაში ბალაზიც გახმა...

აღარც ნამსვლელი, აღარც მომსვლელი,
მხოლოდ დუმილის ყრუ სამოსელი...

...ორი ნაპირის და ორი კიდის
იმედად მაინც ირწვა ხიდი...

გალივიარი როიალი

როგორც ჩავლილ წლებზე ჩუმი მგლოვიარე
ოთახში, რა ხანია, დუშ შავი როიალი...

...მე ვრცელი სანუთორ სევდით მოვიარე,
სივრცებს აწყდებოდნენ ქარები მორიალე,
გულს კლავდა დარდი და ნაღველი — მორიელი...

ელვიან ალებით ხვალ სხვა დრო იალებს,
დღეს კი, ვით მგლოვიარე, დუშ შავი როიალი...

მოლოდინი

...კვლავ მოსაწყენად გადის შაბათი,
უახლოვები კვირის კარიბჭეს;
ტკივილს თუ შვებას შხამით, შაბათით
ხვალინდელი დღე რას მოგანიჭებს?..

...კვლავ გადაუვლის ნიავი ლვარად
ბრძენში ნამოშლილ შერის ნათესებს
და გაილევა ეს შუალამეც
მოახლოებულ დილის ნათელზე...

...კვლავ მოვა იგი
და მის მოსვლა
ნამლის ატკვილს და სიმარტოვეს,
მას იღუმალი ნათელი მოსავს
და შენ გეკუთვნის იგი მარტოდენ...

მოთხოვდა, რომელზედაც საუბარს გაპირებ, 2013 წლის ინტერნეტკონკურსის, „ლიტბუნიობის“ გამარჯვებულია. გია არგანაშვილის „შავ-თეთრი მოთხოვდამ“ ჩემი, როგორც ამ ანონიმური კონკურსის ექსპერტის ყურადღება (მაშინ, კონკურსის პირობების მიხედვით, ავტორთა ვინაობაც გასაიდუმლობული იყო, მოგვიანებით იგი ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრაში“ გამოქვეყნდა) არამარტო პრობლემის აქტუალობითა და სიმწვავით მიიქცია ყურადღება, არამედ ამ პრობლემის ხედვისა და შეფასების კუთხითაც. კოდირებული ინფორმაციის გარდა, რომელიც მკითხველს ურთიერთგანსხვავებული ინტერპრეტაციებისაკენ უბიძგებს, ტექსტი მხატვრული ფორმითაც საინტერესოა: შერეული მხატვრულ-პუბლიცისტურ-დეტექტიურ-იგავური თხრობა ზუსტად და, იმავდროულად, ბუნებრივადაა მორგებული სათქმელის რთულ, მრავალგანზომილებიან ფაქტურას.

მოთხრობის ერთი თვისებურება „საზღვრის ეფექტის“ მოდელირებაა. ამ გზით მნერალი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას საზღვრის, მიჯნის, ზოგადად, ოპოზიციურობის იდეისა და ღირებულებათა, შეხედულებათა, პოზიციათა შავთეთი მდგომარეობის მიმართ. ოპოზიციურობა თავს იჩენს როგორც სახეთა, იდეათა, პრობლემათა დაპირისპირების მხატვრულ პრინციპში (ძალლი/გეგლი, მორჩილება/თავისუფლება, ტყე/სოფელი, ბუნება/კულტურა, ტრადიცია/თანამედროვეობა, მნერალი/ოპონენტები), ისე ინტენსიურ, დაძაბულ თხრობაში, ე.ნ. დრაივში. თხრობა ორ ნაკადად ვითარდება: ერთი მნერლის მიერ შეთხშული ისტორიაა, მეორე — მისივე რეფლექსიები ამ თემასთან დაკავშირებით. პერიოდულად იგი აქტიურად ერევა ამბის განვითარებაში და პრობლემის კულტუროლოგიურ-ეთიკურ შეფასებებს და არგუმენტებს გვთავაზობს. ეს უკანასკნელი მუქი შრიფტითა გამოყოფილი და ხაზგასმით იცავს ავტორის უფლებას სკუთარ სათქმელზე — აწმუნშიც და მომავალშიც, რადგან, შესაძლოა, როგორც თავადვე ამბობს, ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ ავტორს არც აღარავინ ჰყითხოს აზრი („ავტორის სკულილის“ პოსტმოდერნისტული ფორმულის შესენება, რომელიც, ფაქტობრივად, უარყოფს „საკუთარ სათქმელზე“ მნერლის უფლებას).

ჯერ მოთხოვდის სათაურზე: კონტრასტი და ოპოზიცია, რომელზედაც მოთხოვდაა აგებული, სათაურშივეა გამოტანილი. თავისუფლება-მორჩილება(მონობა), თუ თავისუფლება — ერთგულება? რომელ დაპირისპირებას მანიჭებს უპირატესობას თანამედროვე ქართველი მკითხველი და ჩვენი შავ-თეთრი ცნობერება დღვენადელი მრავალფეროვანი რეალობის აღმნიშვნელად? ხომ არ გადაგვეხედა ტრადიციული, ფოლკლორით განმტკიცებული შეხედულებისთვის, რომ „ძალობას“ „მგლობა“ სჯობს, და რომ სწორედ ეს უკანასკნელია თავისუფლების ნიშან-სიმბოლო („სამი არ განურთნების: მგელი, არწივი, კაი ყმა“...), პირველი კი — მორჩილებისა და მონობისა? განა ამით ხალხურმა პოეზიამ უარი თქვა ძალზე — ადამიანის ერთგულებითა და თავდადებით გამორჩეულ არსებაზე, განა ჩვენი ტრადიცია მეგობრობასა და ერთგულებას არ აღიარებს? რა ადგილი უკავია ჩვენს დღვენადელ ღირებულებებში თავისუფლებას და როგორ გვესმის ეს თავისუფლება, სად და რაში ვლინდება ის, სადაა მისა საზღვრები? ავტორი, როგორც თვითონ აცხადებს, ძალისა მხარეს დგება, ანუ ყველა იმ ღირებულების დასაცავად, რომელიც ძალისა მნიშვნელობის მიღმა იკითხება. იგი მორჩილებას და თავისუფლებას კი არ უპიროსპირებს ერთმანეთს, არამედ ოპოზიცია სხვა სიბრტყეზე გადააქვს და და მორჩილების ადგილას ერთგულების, დაცვის, სიფხზზოს, დარაჯობის მნიშვნელობებს აღაგებს. ამ გზით შავ-თეთრის რადიკალური ოპოზიცია ელფერს იცვლის და ახალ საზოგადოებრივ გამშვიდებაა.

ალ სააზროვნო ველი ექცევა.
მოთხოვთ სერიოზულ საფიქრალს აღ-
ძრავს არა მხოლოდ ზოგადფილოსოფი-
ურ-ანთროპოლოგიურ პლანში, არამედ
საკუთრო ჩვენი ისტორიისა და დღევან-
დელობის, განსაკუთრებით — ჩვენი უკა-
ნასკნელი ოცნელეულის პოლიტიკური
ცხოვრების კუთხითაც. მოკლედ, თუ მწ-
ერლის მიერ შემოთავაზებული სიმ-
ბოლური მოდელის „ენაზე“ ვიტყვით,

საფეხულს, რომელსაც „დიდი ხანია დაავიტყვდა მგლის არსებობა“ და სადაც „ძალუები ნადირის ხმაზე არ ყეფენ“, შპასი ეძღვა, გადახედოს იმ რეალობას, რომელიც თავისუფლება-მორჩილების რადიკალური დაპირისპირების პირობებში ჩამოყალიბდა და არ მოკლას ძალლი, რომელიც „გირის ლეშს“ (!) პატრონობს. ვირი ბრმაა და მორჩილად, სრულ გაურკვევლობაში გაჰყება მგლის ფეხის ხმას, რომელიც, სხვათა შორის, მოთხოვნაში იჩქერის ერთ-ერთი კუთხიდან გამოიქცა ომის საშინელებას და ახლა მიძინებულ სოფელზე აპირებს თავდასხმას. აი, ამ ბრმა, მგლისგან გზააბნეული, მოტყუებული და კლდეზე გადაჩებილი ვირის ლეშს დარაჯობს ძალლი. მწერალი მოგვინდებს, არ ჩავრთოთ პოლიტიკა ჩვენს ინტერესებისაციებში, მაგრამ მინიშნებები იმდენად აშკარაა, რომ, ავტორის „პროვოკაციას“ თუ გამოვრიცხავთ, ტექსტი თითქოს სწორედ პოლიტიკური წაკითხ-

მანანა კვაჭანტირაძე

၁၉၃၀ ဧပြီနေ့မှာ ဖောက်လုပ်ခွင့် ရှိခိုင်မှု



ვირი), მოთხრობა, როგორც ჩანს, ერთ-შისვნელოვან გადაწყვეტას არ გულისხმობს: მწერალი ფართო საინტერპრეტაციო სივრცეს ქმნის, რათა პრობლემა სოციოეულტურულ, პოლიტიკურ, მორალურ, კონტექსტში — თავისუფლება/მორჩილების, ბუნება/კულტურის და რიგსხვა დაპირისპირებათა ფონზე გავიაზროთ და გულდასმით შევაფასოთ ის რეალობა, რომელიც თავისუფლება-მონბის რადიკალურმა ოპოზიციამ, ანუ თავისუფლების პრობლემის შავ-თეთრმა გადაწყვეტაში შექმნა როგორც ჩვენს ცნობიერებაში, ისე — ისტორიულ ყოფაში. რაც შეეხება ამ რადიკალიზმის გამოვლენას ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან თემასთან, ქართულ ხასიათთან, და შესაბამისად, ისტორიასთან და მომავალთან მიმართებაში, მყითხველს ურთიერთგამომრიცხველ იორ მოსაზრებას შევახსენება: ერთი გასული საუკუნის 20-იანი წლების გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის, რომელიც სწორედ ჩვენს ხასიათში გამჯდარ „პრომეტეულ თავებისა“ ასახელებს, „საქართველოს შინაგანი დამლის მიზეზად“, მეორე კი 70-იანი წლების გურამ ასათიანს, რომელიც ათწლეულების შემდეგ, უკვე სხვა ისტორიული კონტექსტში დაინტერეს მომდევნობას ამ, მისთვისაც ძალზე მტკიცნეულ თემას: „ნელია თქმა, რა უფრო გვშველოდა, მოუმინდეს, რა მოუმინდოდა“.

ქსოვილება თუ ძოუთძებლობა".
ეს ისე, სხვათა შორის და განსჯისათვის,
ჩვენ ისევ მოთხრობას მიუწყრუნდებით,
თუმცა თემა, რომელიც ახლახანს ვახსე-
ნეთ, რა თქმა უნდა, ისევე შემოდის მოთ-
ხრობის საინტერპრეტაციო სივრცეში,
როგორც ყველა ის პრობლემა, რომელიც
თავისუფლება-მონობის, ან სხვაგვარად,
ჯანყისა და მორჩილების ოპზიციურ შინ-
შენელობათა მიღმა იგულისხმება. ჩინდააზ-
ინვე ვიტყვი: ვაპირებ, ინტერპრეტაციის
თავისუფლების უფლებით ვისარგებლო,
„პოლიტიკურ“ წაკითხვას გვერდი ავუქ-
ციონ და მოთხრობის იგავური მოდელი

არანაკლებ მწვავე და მტკიცნეული პრო-ლემის სივრცეში გავშალო. მაგრამ ეს მოგვანებით. ჯერ თვით ოპოზიციებისა და მოთხოვნების არქეტიპული შრის შესახებ, ანუ პერსონაჟთა დაპირისპირების სიმბოლურ-ნიშნობრივ ხასიათზე უნდა ითქვას.

მოთხოვთაში ეს პარადიგმა მგლის
შემოქრით ირღვევა, ამიტომ, როგორც

სიძეტრიულობა ვახსეხთ. სოფელი სი-
მეტრიულია, ნიგნივით, და „შუა ორლობე“,
ყუასავით, ორად ყოფს. მეტიც, სოფელი
ტექსტია — ხეხლის სტრიქონებით. იგი
ორსართულინი სახლებით, საქონლის
სადგომებით, საფუტკრებით, ბაღ-ბოსტ-
ნებითა დასურათებული. ეს ტექსტის გარ-
ეგანი მხარეა. რაც შეეხება შიდა ტექსტს,
მას მგლისა და ძაღლის დაპირისპირება
ქმნის. ეს პლასტი უზვეტი კონტაციების
(ფარული მნიშვნელობების) შემცველი
სივრცე, ანუ შიდა ტექსტის მუდმივი „მო-
უსვენრობის“ ვერა. ერთი სიტყვით, სო-
ფელი ცოცხალი, მრავალმნიშვნელოვანი
და მრავალდონანი ტექსტია და მისი ამო-
ცნობა, კოდის ამონსინ მკითხველს მდი-
დარ სააზროვნო მასალას სთავაზობს წუ-
თისოფლის ტექსტის, კოდებისა და ქარაგ-
მების შესაცნობად.

შეგელი და ძაღლი სოფლის საზღვარზე
ხვდებიან ერთამანეთს, ძველ ნაწისქილარ-
თან, ორი ტექსტის, უფრო ზუსტად — ტე-
ქსტისა და პრატექსტის შეხვედრის ალ-
გას. იქ, სადაც საძყაროს შემოქმედს (თუ
ისტორიას?) სოფელსა და ტყეს ანუ ბუ-
ნებასა და კულტურას შორის უზილავი სა-
ზღვარი გაუვლია. ტერიტორიები გაყ-
ოფილი და შეტაყბებაც — გარდაუვალი!

მნერალი გასააზრებლად ახალ ოპოზიტიას გვთავავზობს და აქაც შემოაქვს კორექტივი: „ბუნება არ არის ისეთი მცაცრო, როგორც ბევრს ჰგონია“, და „არც მისი სამართალი ჰგავს ხალხის სამართალს“. ბუნებისთვის უცხოა შურისძება, ზღვარ-საც მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადის ხოლმე (ანუ მხოლოდ მაშინ კლავს), როცა მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ პირობებს არ ითვალისწინებენ. მოკლედ, ბუნება/კულტურის ოპოზიცია აქ ბუნების სასარგებლოდ წყდება, რაც იმას ნოშავს, რომ ავტორმა დაპირისპირების შესუსტებისა და მისი ნევრების მორიგების იდეა შემოგვთავაზა და კიდევ ერთი ტრადიციული ოპოზიცია, პრობლემის კადევ ერთი შავ-თეთრი გადაწყვეტა დააყრინა იჭვევები.

როულებას იცვლის და გძლიასადმი ხალხ-ის სიმპათიას სხვა მიზეზს უძებნის: „ნადირის ძუნება და კონკრეტული ძალით იზიდავს დაჩაგრძულ ადამიანს, მტაცებლის სისამაგრებლი ღონისძიებების გადასახლება“.

აქვთ გარედაროს .
ადგინიანი მგელში მგლურის, საკუთარი
ბუნების ერთგულებას სცემს პატივს, მის
ამტანობას, ნინააღმდევობის უნარს, ერთი
სიტყვით, „ვაუკაცობას“, და არა მტაცებ-
ლურ ინსტინქტს, რომლითაც მგელი არა-
ფრით განსხვავდება სხვა ცხოველებისგან
და, შესაბამისად, ვერც მისდამი ხალხური
პოეზიის განსაკუთრებულ კეთილგანწყ-
ობას ახსნის. რაც შეეხება ეპითეტს „მტა-

შესაძლოა, მგლისადმი სიმპათიაში, ჭა-
მის ბუნებრივ ინსტინქტზე მეტად („მტა-
ცებლობისადმი ლტოლვა“), ბუნებისაგან
უკვე მოწყვეტილი ადამიანის საკუთარი
ფესვებისადმი, პირველყოფილი ძალები-
სადმი, შავ-თეთრი გარკვეულობის მიმართ
ნოსტალგიაც იყიდებოდეს. მგელი მეტა-
ფორაა იმ ძალისა, რომელიც ადამიანმა
დაკარგა. ცხადია, ამ ყველაფერს ემატება
ჩვენი ისტორიული ძნელბედობით გამო-
წვეული ლტოლვაც ეროვნული თავისუ-
ფლებისაკენ, რომელიც ლატენტურ დონ-
ებზე უთუოდ იგულისხმება მგლის წარმო-
სახვით ხატში. სწორედ სწრაფვათა ამ სპექ-
ტრის პერსონიფიცირებას ახდენს ენა და
შემოქმედებითი ცნობიერება იმ სამ „უწვრ-
თნელშიც“, ხალხური ტრადიცია რომ უმ-
ღერის: არწივშიც — ცის სტიქიაში მისი თა-
ვისუფალი ნაგარდის გამო, მგელშიც —
„დაბლა სივრცეებში“ მისი ხელშეუხებლო-
ბის გამო და „კაი ყმაშიც“ — საკუთარი თა-
ვისუფლებისა და კაცობის დაცვა რომ შე-
უძლია უსამართლობისა და ძალადობის-
გან.

ოპონენტები არგუმენტებს ექცევნ. ვა უა? კი პლინგი? ცხადია: ვაუა ვერ დადგება მგლის მხარეს. ის თავისუფლებას ფიზიურ ძალასთან არ აწყვილებს, პირიქით, „მგელობა მაშინრეო“, ღმერთს თხოვს. კი პლინგი? კი პლინგთან ძალას და თავისუფლებას განსხვავებული კონტექსტები აქვთ. კი პლინგის არგუმენტი „ძალის“ დამცველებს კი გამოადგებათ, მაგრამ „თავისუფლების“ მომხრეებზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. კი პლინგი ძალას მიაგებდა პატივს, ძლიერს — სუსტის წინააღმდეგ, თეთრკანიანს შავკანიანის წინააღმდეგ, ბრიტანელს — აფრიკელის წინააღმდეგ, თუ აწინაურისთვის ან კომისარის, ავიაციის

და გახვითარებულ იხტელეეტს, ცივილიზაციას ამ ბრძოლაში იარაღად მიიჩნევდა. თავისუფლების იდეა მასთან ე.წ. „ჯინგრისტურ მორალსა“ და იმპერიულ ძლევამოსილებაზე, ანუ სუსტის, უმწეოს, საკუთარი სამშობლოსა, თუ უბრალოდ, საარსებო სივრცის დამცველთა დამორჩილებაზე გადიოდა. ასე რომ, ძლიერი-სუსტის ოპოზიციაში კიპლინგი „მტაცებელთა“ მხარესაა და ამ დისკუსიაში იგი მხოლოდ ოპონენტიბს თუ გააძლიერებს.

ოცხელის სარეალიზაციოდ გერგო, ის ყველაფერი, რაც პატრონის მნიშვნელობის ენის (ცნობილების, რელიგიის, კულტურის) მიერ დანესხული ღირებულებებისა და თუნდაც, აკრძალვების მიღმა მოიაზრება, რასაც ეკუთვნი, რაც გპატრონობს და გაჭირვებისა თუ გადაწყვეტილების მიღების წამს დახმარების ხელს გირვდის. აგრეთვა, საკუთარი „მეც“ პატრონია, დიგივე ბუნების კანონი, თავისუფლებასთა ერთად, ადამიანს მის ერთგულებასაც ავალდებულებს.

სახიერებს როგორც სასჯელის, ისე დანა შაულის არსს, მიზეზსაც და შედეგსაც (ხტონური ძალების ამვებულობა და მი ბმი), ასე რომ, ამირანი თავისუფლებისაკენ სწრაფვისთვის კი არ ისჯება (სახის ასეთი ინტერპრეტაცია გვიანდელი და ჩვენ ცნობიერებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი კორექტივია), არამედ სწორედ სტიქიურ ენერგიათა სიჭარბის გამო: თვითი თნებობისთვის, თავგასულობისთვის, თავაშევებულობისა და პატრონის მიერ და წესებული საზღვრის გადაბიჯვებისთვის იმაზე ხელის აღმართვისათვის, ვინაც ეზებუნებორივი ძალა მიანიჭა. იმიტომ ისჯება, მისი თავისუფლება სამყაროს განადგურებით რომ დაემუქრა: მხოლოდ სამმუხა (მცენარეთა სამყარო), სამი ტახი (ცხოველთა სამყარო) და სამი დევი (ბოროტება, რომელიც აუცილებლად უნდა არსებობდეს სიკეთის საპირონოება და მის გამოსავლენად) რომ დატოვა დედამიწაზე თვითონ მასვე რომ დაემუქრა ბოროტება ქცევის საფრთხე სურველების მოუთოვა კავილის გამო; დმტრის მიერ დალაგებული ქვეყანა რომ არია, გააღარიბა, აუცილებელი წონასწორობა რომ მოშალა.

ახალი რეალობა ასეთია: მწერალი, ავტორი მგლის დამცველად ვეღარ გამოიდგება, თუნდაც იმიტომ, რომ ველურ ბუნებასთან დასაბრუნებელი ყველა გზა მოჭრილია, ველურობის არჩევანი კულტურის უარყოფაზე გადის. ადამიანმა, უნდა თუ არა, ბუნება-კულტურის ერთიანობაზე ანუ ერთგულებაზე უნდა დადოს ფსონი ესაა მისი ფუნქცია, რომელმაც ნება უნდა წარმართოს — ასეთია ბუნების კანონი და დამიანის ნებაც და თავისიუფლებაც აკანონის აუცილებლობითა დაბეჭდილი იყო ვერ დადგება მგლის მხარეს თუნდა იმიტომ, რომ მხოლოდ ძალლს კი არა აქვთ გადასარჩენად საქმე, არამედ ძალლის პატრონსაც, ანუ — ერთგულების იდეასაც რაც შეეხება ავტორს, მას მხოლოდ ადამიანობა კი არ ავალებს ერთგულების დაცვას, არამედ საყუთარი პროფესიაც. ვინ თუ არა მწერალმა უნდა უპასუხოს კითხვას, ვის და რატომ ევალება ერთგულების კანონის ოჯახი?

ამ კითხვაზე პასუხს მოთხოვობის ბოლო
ნაწილში ვგებულობთ, სადაც „კანონს სისხ
ლის ფასი აქვს“ — ძალის მკვლელობი
ოსა.

სოფლის ცენტრი, ე. წ. „ბირჟა“, სადა
ძალის მკვლელობა ხდება, დეკონსტრუ
ქცის ტოპოსია. იგი ერთგვარი სათამაში
მოედანია, სოციუმის (უსაქმეურა) თავ
შეყრის ადგილი. საქმე/უსაქმობა აღარ
ნარმოადგენს ოპოზიციას, უსაქმობა მუდ
მივი მდგომარეობაა და თავისუფალი სათა
მაშო-სადლესასაულო სივრცეც, როგ
ორ ც ყოველდღიურობის ალტერნატივა
— ნორფანიზებულია. ტრადიცია ასაწყ
ობი სათამაშოსავით იშლება ჩვენს თვალ
ნინ: წირვადან საუბრამდე, საუბრიდან —
ჭორამდე, ჭორიდან — ლაზარნადარობამ
დე, აღზღანდარობიდან — ბილნისიტყვა
ობამდე, გინებამდე, ფურთხებამდე ჩამო
ქვეითებული ეს ყოველდღიური რიტუალი

იმ გზის მეტაფორაა, რომელიც ამ სო
ციალურმა ერთობამ გაიარა გარკვეულ
ისტორიული დროის მონაკვეთში. და რაკე
„გზა ესაა „მე“-ს მიღწევა, „მე“-მდე“ (მერა
მამარდაშვილი:), მანაც მიაღწია ადამიან
თა იმ მარკირებულ სახეობამდე, რომელ
საც ქართული ენა „ფარეშს („ხელზე მო
სამსახურე“) უწოდებს. იგი დაბალი მორა
ლურ-ინტელექტუალური შესაძლებლობების
ბის ადამიანთა სიმრავლეა, რომელიც
„ფარეშობით“ გამოკვებილ ულირსობას
და მის თანამდევ ფარულ აგრძესიულობას
ავრცელებს.

ტრადიციების ნოსტალგიად, უკეთ შემთხვევაში კი იდენტობის მოთხოვნილ ბად რომ გვარევნებს თავს, მათვის ეთადერთი გზაა ინდივიდუალური სახე შესანარჩუნებლად. სხვა გზას ისინი არ ინორძნებ. ჩვეულებრივ, სათამაშო, სადღლ სასწაულო მოედანი როგორც ნოსტალგის, ისე იდენტობის განსაკუთრებული იტენსივობის განცდის აღმძვრელია. მეტრამ რას ეყრდნობა ეს იდენტობა ჩვეულებრივი გვარევნები? საერთო ინერციას, საერთო უზნეობასა და გულგრილობას. ისინი ეთად მიდიან თავდალმართში, დალუპვესა ენ. ძალის მკვლელობა ერთგვარი „ლა მუსია“, რომელიც მთელ ამ თავკრილობაზე რთიანად აღბეჭდავს სიკვდილისფერ სილურჯვით.

ასეთ დროს ყოველთვის ჩნდება მთვარი მოძალადე, კანონს ამოფარებულ მეცნიერებლის უშუალო შემსრულებელ რომელიც არაფრისტვის კლავს. მის ზრგს უკან კი ბრძოს, ანუ პოტენციურ მკლელთა, უფრო ზუსტად, „ლიკვიდატორთა“ ფარული ნება ხორციელდება. ბლადისა და ჯოგის ურთიერთობის ნაცნები, კლასიკური სურათი კიდევ უფრო დაძიმებულია თანამედროვე კონტექსტში გამო, რადგან ჩვენი წინაპარი შემშილებამო კლავდა, თანამედროვე ადამიანი, აგრესის დასაკმაყოფილებლად ან გულგრილობის გამო კლავს.

ყველაზე უცხაური კი ისაა, რომ ს
ფელს აღარც თვითგადარჩენის ინსტინ
ტი კარნახობს ძალის პატრონობას, რა
გან მგლის არსებობაც ისევე დაავიწყდ
როგორც საკუთარი წარსული. ანშე იკ
ვებს მთელ სასიცოცხლო სივრცეს, ა
რობს წარსულსაც და მომავალსაც. ეს
ავადმყოფურად განელილი დრო, რომედ
იც აღარაფერს ქმნის და მხოლოდ დაუ
რულებლად იმეორებსა ერთსა და იმავე
ამ აგრესიულ ანშე ში, „არსაიდან ა
საით“ მიმავალ დროში იყინება სივრცე
რომელიც ისე ახლოდანაა ნაჩვენები, რო
„მტკვერში აზელილ ფურთხსაც“ კი ვხ
დავთ. პროცესი, როგორც მოძრაობა, ც
ლილება, სასიცოცხლო დინამიკა მთლი
ნად ჩანაცვლებულია წინა პლანზე გ
მოფენილი, საგანგებოდ გამსხვილებულ

სტატიკური სურათებით. კვლემის ამ შეოვნებულ, შავ-თეთრ კადრში ადამიანები თითქოს პირდაპირ იყურებიან ობიექტის ში უმტკველო სახეებით, არაფირისმთქმდი თვალებით, და რწმუნებულის ზურგი (კანონს) ამოფარებულნი, სირცეზილს დუხრებულობას კი არა, სიმძღვალეს მაღვენ თავიანთი პოზით, ქცევით, ჟესტიკი მოკლული ძალის — დამაშრალი, სიოლის დამცველი და ვირის ლეშის ერთგანი დარაჯი — ამ გაყინული კადრის ლეგიური ცენტრია. ამ წერტილში სივრცი მთლიანად შთანთქავს დროს, კულტურალირებულებებს, ადამიანს.

ფინალი — ჯგუფური პორტრეტი იტერიერის ფონზე:

ძალის მეცნიერებული მინის „ალუზია“ ამძიმება მინას, მაგრამ არ ამძიმებს ადამიანის სინდისს. პირიქით: „ეს სიმძიმე თითქო მეტ სიმძარეს აძლევდა ნიადაგს. და კაც ბიც უფრო დანდობილად აპიჯებდნ ზედ, რათა სოფლის სხვადასხვა მხარე, დაფარტულიყვნენ“. მინას მაშინ აპიჯებდნ მსუბუქად, როცა ცოცხალი ხარ — ეს ბოლოგიური აქსიომაა. გარდაცვლილი თვის კი მინა მხოლოდ მაშინაა მსუბუქი თუკი სამშობლოსია. ესეც აქსიომაა, ორ ონდ რიტორიკული და დაკრძალვის ცენტრი ემონიალის თანამდევი ეს „დალოცვა“ გარდაცვლილებზე მეტად ცოცხლებულ სჭირდებათ, თუნდაც მსუბუქი/ მძიმე ოპოზიციის გასააზრებლად „მშობლიური მინის“ იდიომასთან მიმართებაში. ეს მინა კი უკვე არავისია, რადგან მსხვერპლის სისხლით სიკვდილგამჯდარი, აღარც მსუბუქა და აღარც მართალი, მით უფრო, და

სიცოცხლეს ადამიანისთვის აბსოლუტური ღირებულება აქვს, მაგრამ თვითშეფასების დაქვეითებას იგი თვითგანაცვლებამდე მიჰყავს. საზოგადოება დერიც ამ კანონს ემორჩილება. მწერლი მიერ მოხმობილი, მეცნიერებაში კარგად ცნობილი „პეპელას ეფექტიც“ სხვა არაფრია, თუ არა ამ კანონის შესხენება მკითველისათვის: სამყაროს წესრიგი უფაქის კავშირებს, ზუსტ წონას სწორობებსა და შესაბამისობებს ეყრდნობა, მექსიკაში თბილი მისამართი პეპელას ფრთხოს ზედმეტ მაფარფატმა, შესაძლოა, ჩრდილოების მისამართი და მას შემდეგ მართვის მისამართი.

ისა და მგლის ისტორია ამ კანონის რჩევ-
ნითა და სიტყვის უხილავი ძალის მშედით
იწერება

შცველი (ძაღლი) ბოკლეს, რადგან „არ-ავისი არ იყო“, რადგან მას, ვისაც ძაღლი იცავდა, აღარ შერჩა ვალის დაბრუნების ნება. ადამიანებმა უარი თქვეს პატრონობაზე და ამით საკუთარ თავს თვითონვე გამოუტანეს განაჩენი: ადამიანი და საზოგადოება, რომელიც ვერ ხედავს, ვერ იცავს და ვერ პატრონობს ერთგულებას — აღარც თვითონ იმსახურებს მცველს. ასე რომ, ამ სივრცეში არამარტო რეალობაა შავ-თეთრი, არაედ ამბის პერსექტივაც: ცნობიერების რღვევა სოციალური და კულტურული მთლიანობის ნგრევას და საბოლოოდ, ტექსტის (სოფლის, ქეყნის, ჩვენი სასიცოცხლო გარემოს) სრულ დაშლას მოასწავებს. მნერლის ინტელექტუალური დახვენილობის წყალობით პერსონაჟთა სახეებს, აქ დატრიალებულ ამბებს მკითხველით თვითონ სივრცის, მოვლენის ნიშან-სიგნალებად აღიქვამს. მომველის საიდუმლო ტექსტის (ქსოვილის) ზედაპირზე ამოდის და რეფლექსის ჩარ-


თვისეკებ მოგვინოდება.
მეტყველებს „მუქარით გა-
ჰყოფელს“ და მოძმეთა ხრივას
აედევნება. ძალის სისხლით გამაგრებულ
მიზაზე თამამად ამოძრავებული, ნაბიჯ-
გამყარებული, საკუთარი თავის მომედე
ადამიანები სხვადასხვა მხარეს გასწევენ,
მიატოვებენ თვითინ ქვეყანას, მაკრამ,
ღმერთმა სუ ქნას და, თუ შეგელი დაბრუნ-
და, „სოფელს, რომელსაც დააიწყება მგ-
ლის არსებობა“, არაფერი შეერჩევა მე-
სიერებაში, აქედან გამომდინარე საშინე-
ლი შედეგებით. აღარავინ იქნება სოფლის
დარაჯი და მცველი, სოფელმა ხომ არც
ძალისა და მგლის ორთაბრძოლის შესახ-
ებ იცის რამე. ეს ისტორიაც ხომ ადამი-
ანის თვალისგან შორს, სოფლის საზღ-
ვარზე გათამაზდა და ერთადერთი თვით-
მხილველი ჰყავდა: დროისა და ისტორიის
დარაჯი და მეთვალყურე, პატრონი და
მცველი — მერიალი!

ასეთია „შავ-თეთრი მოთხრობა“, ერთი
მკვლელობის ისტორია, ანუ რეპორტაჟი
მკვლელობის ადგილიდან — წინაისტორი-
ითა და კომენტარებით. მწერალი აქ მცვე-
ლია, სოფელს რომ დარაჯობს და ერთი
დასასვები ინტერპრეტაციით, შესაძლოა,
მთელი ეს ამბავი სწორედ მწერალსა და
მწერლობაზე იყოს დაწერილი. თუ ეს მარ-
თლაც ასეა, მაშინ „სოფელი“, რომელიც
დუშმილით იძლევა ავტორის სიკვდილის
ნებას, „მწერლობის გვამით“ დამძიმებულ
ჩვენს მინაზე „მაგარი“ და დაუნდობელი,
გულგრილი და უცხო კაცების აღზევების
ნებასაც იძლევა. თუმცა, ისევ გავიმეორებ,
ამ ისტორიასთან ერთად არც ბუნების
საოცრება — პეპელას ეფექტი უნდა დავი-
ვინყოთ, ფრთხების უმნევ ფართხალით
ქარიშხლის ატეხევა რომ შეუძლია.

თუკი სოფელი ტექსტია, მაშინ ის სივ-
რცე, სადაც მგელთან ომით დაღლილი,
დამაშვრალი ძალი წევს და მკვლელების
ტყვიას ელოდება, მემორიალური სივრცეა
და როგორც ასეთი, ხსოვნასა და ერგულე-
ბას გვავალებს. ის თავისი სიკვდილითაც
იბრძვის ზუსტად ისე, როგორც სიცოცხ-
ლით იბრძოდა. რადგან, თუკი გარდაიცვ-
ალა, როგორც ოთარ ჭილაძე ამბობს, ახა-
ლი სიცოცხლის დასაბადებლად გარდა-
იცვალა მხოლოდ, მომავლის ნიშნად დარ-
ჩა. ამ სიკვდილით დარჩენილი გაძლიერა
სწორედ, რათა (გა)დარჩენილმა უკეთ შეა-
სრულოს, როგორც რეზონანსიშვილი ბრ-
ძანებდა, თავისი ფუნქცია დარაჯისა —

ଦାଲାକ୍ଷେତ୍ରିଧିନା ଦାଶ୍ଵର୍ଯ୍ୟରୀଧିନ୍ଦ୍ରେ.
 ଶୁଭ୍ରନୂରିଠା ଦା ଏରତଗୁଲ୍ଲେହା-ତାଵିଲ୍ସୁ-
 ଫଲ୍ଲେବା ଦିରିତାତିର୍ଥ ଅଳ୍ପତ୍ରେନାତିର୍ଥାଦ ରହିବା
 ରନ୍ଧାନ୍ଧାରୁ ଆତାଶଫିରିର୍ବାହିନୀବ୍ୟଲିଲୀ ତାନାମୀଧ-
 ରନ୍ଧାରେ ଲୋତ୍ରେରାତ୍ମୁରିସତ୍ରାବୀସୀ, ବୀଶ ଥଙ୍ଗାଧାଦ
 କୁଣ୍ଡିତୁରିସତ୍ରାବୀପ୍ରାଚୀ ମନ୍ତ୍ରେରାଲୀସ ମେଗାଗୁପ୍ତାଦ,
 ମେତ୍ର ଦାଲାଲୀସ ମେବାର୍କ୍ସ ବାର, ତୁମ୍ଭତ୍ରା ଆରିତ୍ର ମଧ୍ୟ-
 ଗ୍ରେଲ୍ସ ଉନ୍ଦରା ଫାଵୁକ୍ୟାରଗନ୍ତ ଲ୍ବାନ୍ତଲୀଃ ମଧ୍ୟେଲୀ
 ବୀଶ ଦାଲାଲୀସ ଦାଲାଲାରୀଧାବ ଉନ୍ଦରରିହୁନ୍ଦେଶୀ. ବୀଶ-
 ଦାଶବିନ ଉନ୍ଦରା ଗାମରିହନ୍ଦେଶୀ, ସର୍ବଜ୍ଞେଲ୍ସାତ୍ପ ଉନ୍ଦରା
 ଗାତ୍ମପମ୍ଭବ୍ୟଲୀବୀସ, ଦିଲ୍ଲି ଫାଯ୍ରରତକୋବୀ, ରାଜାତ୍ର-
 ରାଜାତ୍ରାତ୍ରେବୀ ଶେବେବେବୋବୀ, ଦାଲାଲ୍ସାତ୍ପ ସିନ୍ଦବା-
 ଦିଲ୍ୟ ଉନ୍ଦରା ଗାତ୍ମବାତ୍ତ୍ୟିଲ୍ୟବୀସ, ଦାଲାନୀ ଆଶ୍ରି-
 ଲ୍ୟବୀ — ତୁମ୍ଭାତ୍ମାପୁଣ୍ୟିଲ୍ୟବୀବା ରନ୍ଧା ଆର ମି-
 ତ୍ରେଶୀ. ଏରତାଦେରତୀ, ରାଶବାତ୍ପ ଅଳ୍ପତ୍ରେନାତିର୍ଥା
 ଆରା ଆକ୍ଷେଶୀ, ଶୁଶ୍ରେଷ୍ଠାମତ୍ତ୍ୱବ୍ୟଲୀବୀସ, ଫାରାଜାଜିଶୀ ଫ୍ରେନ୍କ୍ଜିକିଆ
 ଦା ବିଶୀ ଆରିତ୍ର ମନ୍ତ୍ରେରାଲୀଧାବ ଉନ୍ଦରା ଫାରାତିଥିବୀ ଦା
 ଆରିତ୍ର ମହିତେବ୍ୟେଲମା. ତୁ ଆସେ ମନ୍ଦର୍ଦା, ମିତି-
 ଦାନ — ଫୁରାମଦ୍ଦୀ, ଲୋତ୍ରେରାତ୍ମୁରିଧାବ —
 ଲାଠିଲାନ୍ଦାରକବାଧିନ୍ଦ୍ରେ, ଏରତଗୁଲ୍ଲେହାବିନ୍ଦ୍ରେ —
 ଦାଲାତ୍ମାମଦ୍ଦୀ ଏରତା ବୀଶିଜ୍ଞାବୀ ଦା ବୀଶିଜ୍ଞା ଦାଲାଲ୍ୟ

გეოლოგია და კიბრის მეცნიერება



26 ნოემბერს მწერალთა სახლში ცნობილი მწერალი და მთარგმნელი თამაზ ჩხერია გაიხსენებს. აქვე გაიმართა მისი ახალი წიგნის, „თვალსასწილის“ პრეზენტაცია. წიგნის შინაარსზე, რაობაზე, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავზეც, ბატონი თამაზი პირველივე ფურცლებიდან გვესაუბრება: „ჩემს ცხოვრების ულ პრინციპს განასახიერებს დევიზი, რომელიც „შევარდენელთა“ მისალმებას ნარმოადებენდა: ვგუშაგობ ერს — მარად! რაც შეეხება კრედოს, ის გამოხატულია ინდოელი, რუსი, ევროპელი და ამერიკელი მოაზროვნების, ანთოროპოლოგების, ფიზიოლოგების, თეოლოგების, მწერლების იმ ნერილებში, რომლებსაც მე ვთარგმნიდიდა ვაქვეყნებდი ჩვენს ლიტერატურულ და მეცნიერულ პერიოდიკაში 45 წლის მანძილზე და რომლის ერთ წიგნად გამოცემა დღემდე ვერ მოხერხდა. ეს ნერილები მე-20 საუკუნის მსოფლიოს საჭირბოროტო საკითხებს ეხება.“

ის რაც „ვერ მოხერხდა“ მწერლის სიცოცხლეში, მისი გარდაცვალების შემდეგ განხორციელა მისმა ქალიშვილმა, ნათავა ჩეხენელმა და მამის მეგობრები, კოლეგები, მონაფებები, დამფუძნებლები კიდევ ერთხელ შეკრიბა. „თვალსაწირის“ გარდა, მწერალთა სახლში მისულ სტუმრებს საშუალება მიეცათ თამაზ ჩეხენელის ადრე გამოცემული სხვარამდენიმე წიგნიც მოეხელობინათ. ესტი იყო 2009 წელს გამოსული სამეცნივანი ნაშრომი „ლაზარე გამოვედ გარე“ და კრებულები — „ძველი ჩინური, იაპონური და კორეული პოეზია“ და „ინდური ლოტოსი“, რომლებიც ბოლოს 2006 წელს დაბეჭდდა. საღამოს წამყვანამა, მწერლის მეგობარმა, თანამოაზრებმ, პომეროსის „ოდისეას“ თანამთარგმნელმა ზურაბ კიკანაძემ — იგი მწერლის შემოქმედებით მასტერაპებზე „თვალსაწირის“ წინაათებაშიც საუბრობს — ბატონი თამაზის თარგმანების პირველი კრებულის, 1956 წელს გამოცემული ბო ძიუ ის „ლექსების“ რეპრინტის განხორცილებაც ისურვა და კრებულის მნიშვნელობაზე



ისაუბრა. იგია მარგალიტი არამხოლოდ თარგმნილი ლიტერატურის, არამედ ორიგინალური ლიტერატურისაც, ისევე ამშვენებს ქართულ ლიტერატურას, როგორც ჩინურსო, ბრძანა. გაიხსენა ბო ძიუ ის შემოქმედების მცოდნეთა და სპეციალისტთა შეფასებები და, ზოგადად, გამოხმაურება, რომელიც იმ პირველ გამზღვისას მოჰყვა.



ორგანიზატორები არიან ფარმაცევტულ კომპანია GPS და ინტერნეტ მაღაზია www.lit.ge. კონკურსი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

მწერალთა სახლში დაჯილდოვების
ცერემონიალზე შეკრებილთა სიმრავლე
კონკურსის მიმართ საზოგადოების მაღალ
ინტერესზე მეტყველებდა. ორგანიზა
ტორებმა გაიხსენეს „ნეროს“ ისტორია და
სხვადასხვა დროს კონკურსში გამარჯვე
ბულები: ვანო ჩხიტრაძე, ნათია ნაცვლიშ
ვილი, ბართ კვირტია, დიანა ანფიმიადი
სტუმრებს შეახსენეს ისიც, თუ როგორ მიმ
დინარეობდა წლევანდელი კონკურსი



ნათია როსტიაშვილი


რომელიც 21 ოქტომბერს დაიწყო და
მონაწილეობის მსურველთა სიმრავლით
გამოირჩეოდა. ნანარმოებების მიღება 11
ნოემბრამდე გაგრძელდა. 14-ში ინტერ-
ნეტსაიტზე www.lit.ge. უურის მიერ შეკრი-
ჩეული თხუთმეტი ნანარმოების სია გამო-
ქვეყნდა. კონკურსის მეორე ეტაპზე კი
საქმეში მკითხველი ჩაერთო. კონკურსის
წესების თანახმად, მკითხველს ნანარმოე-
ბების წაკითხვა და მათი შეფასება 26 ნოემ-
ბრამდე უნდა მოქსნო. ორი დღის შემდეგ
კი ყველას — მონაწილეებს, უურის წევ-
რებს, მკითხველს, ორგანიზატორებსა და
მხარდამჭერებს მწერალთა სახლი ელოდ-
და შეიკრიბნენ. კიდევ.

ମୌସ୍ତୁକେଇବାର ମିଳିବା, ରନ୍ଧା ପାଇଁତିଥିଲା,
ମତାର୍ଗମନ୍ତ୍ରେଣିଲା ଏବଂ ଶୈଖିଲା ଶୈଖିଲା
ତିତକ୍ଷମିଲା ସର୍ବଜ୍ଞାଦା ଗାମନ୍ତ୍ରମୁଲି, ମିଳିଲା
ଲୋପିରାତ୍ମରୁଲା ମେହିକାଯିଦର୍ଶକବା ମିଳିବାର
ମଧ୍ୟଦିବାରୀ, ରନ୍ଧା ଆବାଲ୍ଲା ନିଗନ୍ତିରେ ଗାମନ୍ତ୍ରମୁଲା-
ଲାଦାପ୍ରତି, ଅଫାମିନ୍ଦିଶା, ଉପରାଲାନ୍ଦ, ମାଶିଶ୍ଵର ସା-
ସାଜୁବର୍କନ୍ଦ ଶର୍ମିରାଦ ରନ୍ଧା ଶୈଖିରିବନ୍ଦ, ତେମେହି
ଅଳ୍ପବାତ ଏହି ଅଭିନିତ୍ୟର୍ଗବା, ଦୁଇରାବି ଗ୍ରିନ୍ଦାର୍ଥୀ
ଦରକାନା କିଛିଏତୁ: “ହିନ୍ଦେନ ତାମାଚିଲ୍ କିଛିଏତୁ ଦେଵର-
ଜାର ଶୈଖିବାକାଳି”



ლიტერატურული კონკურსის პირველი ადგილისა და ვერცხლის „წეროს“ მფლობელი გახდა ნათა როსტიაშვილი მოთხრობისთვის „ჭალის ანგელოზები“, მეორე ადგილი მიენიჭა ტარიელ ნამორაძეს მოთხრობისთვის „კალია“, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი და წიგნების მაღაზია „სანტა ესპერანსას“ რჩეული რუსუდან რუხაძე გახდა მოთხრობისთვის „ადა და ევა“. რუსუდანს „ლიტერატურული გაზეთის“ მკითხველი კარგად იცნობს, ვინაიდან მისი მწერლური დებიუტი სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე შედგა. ჟიურნის სიმპათია მიმიკოვა ლია ლიქოკელმა მოთხრობით „ბებერი გოგოებისა“.

ნელს „ნეროს“ პირველი პრემია სამი



ტარიელ ნამორაძე

ათასი ლარით განისაზღვრა, მეორე და
მესამე ადგილები კი, შესაბამისად, ორი
ათასი და ათასი ლარით.

ଲୋତ୍ପରାତ୍ମିକୁଳି କୁନ୍ଦାଜୁରିସେ „ଶ୍ରେଷ୍ଠ“
ଫାର୍ମଲ୍‌ଗ୍ରେଡପଶି କୁଣ୍ଡଲ୍‌ଟୁରିସା ଏବଂ ଦେଗଲ୍‌ଟା ଏବଂ ପ୍ରତି-
ବିଶେଷ ସାମିନିସିଟିରେମାତ୍ର ଗାମରାଙ୍ଗଲିନ୍ ତାଵାଜିସେ
ରହେଯିଲୁଏବି ଏବଂ ଇସିନ୍ ଶକ୍ତିରୀଳାଙ୍ଗରି ସିଗ୍-
ଲ୍‌ଏବିଟା ଏବଂ ସାମିନିସିଟିରେ ମିନ୍‌ଗାମରାଙ୍ଗଲ୍‌ମୁଖ୍ୟ-
ଲି ନିର୍ବିକାରିତ ଫାଜିଲାଙ୍ଗରୋବା ସାମିନିସିଟିରେ
ମେରିଯାବାନ ଅଳିଆର୍ଜବା ବିଲାକ୍ଷ ବସଦାତ ନାନୀଏ



რუსულან რუსაძე

როსტიაშვილს („ჭალის ანგელოზები“), ლია ლიქოკველს („ბებერი გოგობისა“) და ბაჩიმ კვირტიას („პატაგონია“).

დაჯილოდოვების ცერემონიალი ცოცხალი მუსიკითა და საზეიმო ფურშეტით დასრულდა.

ଲୋତ୍ରେରାତ୍ମୁର୍ଯ୍ୟଳୀ କ୍ରନ୍ତୁର୍ଯ୍ୟସିର ଶେଫେଗ୍-
ଦିଲୀ, ମିଳିଲୀ ଗାମାର୍ଜଙ୍ଗେପୁଲ୍ଲବ୍ଦିଲୀ ଶେଶାଖ୍ବେ ନେ-
ତ୍ରମରମାତ୍ରା କୁଣ୍ଡତ୍ରୁରିଲୀ ଧା ଦେଗଲାତା ଧାତ୍ର-
ବ୍ୟିଲୀ ସାମିନିଲୀସତ୍ରମି ଅନ୍ତିମାଲ୍ଲୁହି ବେଶଗ୍ରେର-
ଛିଥେ „ନେରାଲ୍“ ଉପରୁଲ୍ଲେଖି ଧେବାଠିଲୀ ଧାଶାଦା-
ରାତିରେ ଏମିନି ହେବାରେ „କାନ୍ଦିଲ୍“

2-28-2018 7:35:48 AM

ლიტერატურული განვითარების მუზეუმი

საქართველოს კულტურისა და ეგლითა დაცვის სამინისტრო
საქართველოს მთავრობა

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
უურნალისტი თამარ უურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com